აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№88 (25.112) 1 - 7 სექტემბერი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 29-34 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 28 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 759 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

რამაზ ჯინჭარაძე: ტელევიზიების კამერების წინ ნუ გავხდებით სხვანაირები

მანანა ტაკიძე 593 10 15 17

- სამწუხაროდ, ქალაქის მერს, ბატონ არჩილ ჩიქოვანს, კითხვებზე პასუხების გაცემის საშუალება არ მიეცა. შეიძლება ზოგიერთები არ მცემდეთ პატივს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, პატივი არ სცეთ თქვენს ამომრჩევლებს, რომლებმაც თავის დროზე ნდობა გამოგიცხადეს. ერთადერთი რამ მინდა გთხოვოთ: ვიყოთ კოლეგიალურები, როგორც ქუჩაში ვხვდებით ერთმანეთს, ისე შევხვდეთ აქაც და წავიყვანოთ საკრებულოს სხდომები. ტელევიზიების კამერების წინ ნუ გავხდებით სხვანაირები. ეს არის ჩემი თხოვნა, - ეს განცხადება ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ ბათუმის თვითმმართველი ქალაქის საკრებულოს განახლებული სხდომის დაწყებამდე გააკეთა.

შესვენება აუცილებელი გახდა იმ ხმაურისა და დაპირისპირების გამო, რაც ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ მმართველი გუნდის მისამართით გამოთქმულ შეკითხვა-ბრალდებებს მოჰყვა. მათი ინსპირაცია ის ფაქტი გახლდათ, რომ დილიდან სხდომას ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი ვიცე-მერ ლევან დავითაძესთან ერთად ესწრებოდა. შეკითხვები ეხებოდა ავარიული სახლების მდგომარეობასა და ამნისტიას, გაუთავებელ საცობებს ქალაქის შემოსასვლელთან, რუსების მიერ არასასოფლო-სამეურნეო მიწების შესყიდვასა და დარღვევებს, ქალაქის შემოვლითი გზის შეჩერებულ მშენებლობას, პარკირების პრობლემებს, ხელოვნურად გაზრდილ KA2 კოეფიციენტს. ისინი პასუხებს მერისგან მოითხოვდნენ. დეპუტატები არც ურთიერთბრალდებებს მოერიდნენ, რაც სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაშიც კი გადაიზარდა. მერს დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის საშუალება არ მიეცა. ხმაურის და დაპირისპირების შეწყვეტა მხოლოდ შესვენების გამოცხადებით გახდა შესაძლებელი. იმ 15 საკითხის განხილვაც, რომლებიც დღის წესრიგით იყო დაგეგმილი მხოლოდ ზემოთ აღნიშნული შესვენების შემდეგ მოხერხდა, მანამდე კი საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ჯინჭარაძემ წევრებს განუცხადა, რომ დეპუტატ ლაშა კილაბერიას ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ირაკლი ძიძიგური ჩაანაცვლებს.

განსაზღვრულ საკითხებზე მსჯელობის დაწყებამდე მოძრაობა „ხალხის ძალას“ წარმომადგენელმა ნინო ცხვარაძემ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატ ნოდარ დუმბაძეს გაზეთ „აჭარაში“ მუშაობის პერიოდში სერჟანტ როინ შავაძის მკვლელობის გამოძიების შესახებ გამოქვეყნებული მასალის ქსეროასლი წარუდგინა, რითაც სცადა, კოლეგა დაერწმუნებინა, რომ ნამდვილად იყო დაინტერესებული ამ თემით ჟურნალისტობის პერიოდში, რასაც შესვენებამდე, სხდომის მიმდინარეობის პერიოდში, კამათი და სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კოლეგებს სიმშვიდისკენ მოუწოდა და სხდომა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით გაგრძელდა.

დეპუტატებმა ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხასა და პრივატიზების გეგმაში შესატან ცვლილებებზე იმსჯელეს და დაამტკიცეს. საკრებულომ მუნიციპალური პროგრამის „ხელმისაწვდომი საცხოვრისი“ განხორციელების მიზნით, საცხოვრებელი ბინების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც ბათუმის მერია 100 ოჯახს ჯავახიშვილის ქუჩის №82-ში ბინებს გადასცემს. ბენეფიციარებს საცხოვრებელი, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, ბინის თვითღირებულების ქირის სახით დაფარვის სანაცვლოდ, 20 წლის ვადით გადაეცემათ.

სხდომაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებაც იმსჯელეს, რომლის მიხედვითაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასი 8 მილიონ 020 424 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 7 300 კვადრატული მეტრი მეორადი ქვაფენილი, ეკლესია-მონასტრებისა და გიმნაზიების ეზოების კეთილმოწყობის მიზნით სსიპ „საქართველოს საპატრიარქოს“ უსასყიდლოდ, მუდმივ სარგებლობაში გადაეცა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიაზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტებში ცვლილებები შპს „სქაი ბათუმი“-სთვის და შპს „გრინ ქეიფ რეზიდენსის“-თვის, ხოლო განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდის შესახებ ცვლილებები შპს „დდ გრუპ 2022“-სთვის და შპს „ინვესტ ჯგუფის“-თვის განისაზღვრა.

დეპუტატებმა ბათუმში, ბაგრატიონის ქ. №117-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებარე სასწავლო დაწესებულების მშენებლობისთვის კოეფიციენტის გაზრდის გადაწყვეტილებაც მიიღეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით, ბათუმში, ს. ზუბალაშვილის ქ. №18-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე ბათუმის საპატიო მოქალაქის, „ბათუმელების“ დარბაზის დამფუძნებლის, ანსამბლ „არსიანის“ სამხატვრო ხელმძღვანელ ოთარ მიქელაძის მემორიალური დაფა განთავსდება. ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მას მინიჭებული ჰქონდა საქართველოს „ქორეოგრაფიის ამაგდარის“ ჯილდო და „ხელოვნების ქურუმის“ წოდება.

საკრებულომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ 15 საკითხზე იმსჯელა და დაამტკიცა.

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

ხეობის სასიცოცხლო არტერია მალე ამოქმედდება

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

წინა საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხი ექსპლოატაციაში შევიდა. 20 კილომეტრზე მეტი სიგრძის საირიგაციო საშუალება ქვეყნის მასშტაბით მეორე იყო, რომელიც მთლიანად დახურული იყო და დიდი წყალგამტარობის ლითონის მილებში მოედინებოდა

ვისაც მისი მშენებლობის ისტორია ახსოვს, მაშინაც კი არხი გარკვეული ხარვეზებით აშენდა. მაშინ დაშვებულმა შეცდომებმა, შემდგომში გარკვეულმა მიუხედაობამ თანდათანობით თავისი გაიტანა. რიგ ფაქტორებს სტიქიაც დაერთო, ღიად გამოტარებული მილები 40 მეტრზე მოგლიჯა და ხევში ჩაიტანა.

მოსახლეობამ, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მილების ამოტანა და არსებულ მილებზე მიერთება სცადეს, მაგრამ... ძველი მილების ახლით შეცვლა საჭირო გახდა. ახალი მილების გასატანად კი არხის სავალი ნაწილის გაყოლებაზე სამანქანე გზის გაკეთების გარეშე 630 მილიმეტრი დიამეტრის ლითონის მილების გატანა შეუძლებელი იქნებოდა.

საზოგადოებისთვის ისიც ცნობილია, რომ აჭარის ტერიტორიაზე სარწყავი არხების მოვლა-შენახვის, გამართულად მუშაობისა და სხვა რეგულაციები ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრს“ დაექვემდებარა. ამ უკანასკნელის ბიუჯეტიდან 100 ათას ლარზე მეტი თანხა გამოიყო 4300 მეტრზე სამანქანე გზის გაყვანასა და 42 მეტრზე ახალი მილების ჩამატებაზე.

საკონკურსო შერჩევის შემდეგ სამუშაოების შესრულება შპს „მიზანი 2020“-ის ხელმძღვანელობამ ითავა. აგვისტოს მეორე ნახევრიდან ფირმის წარმომადგენელი არჩილ გოგიტიძე, მექანიზატორი ავთანდილ ჩხიკვიშვილი, რამდენიმე ადგილობრივი სამუშაოებს შეუდგნენ.

სამუშაოთა მიმდინარეობას ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ დირექტორი რაულ თავართქილაძე, მისი მოადგილე ლერი ტუნაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად გაეცნენ.

- სამუშაოთა ტემპი დამაკმაყოფილებელია. არსებული ვითარება გვაძლევს საფუძველს, ვთქვათ, რომ ფირმის წარმომადგენლები ხელშეკრულებით ნაკისრ დროში საქმეს დაასრულებენ. ამ ეტაპზე 4 ადამიანია დასაქმებული. კიდევ 7-ის დასაქმებას აპირებენ. სულ მალე ცინარეთის სარწყავი არხის რეკონსტრუქციაზე კონკურსი გამოცხადდება. იმედია, იქაც საქმეებს ასეთი პასუხისმგებლობით მიუდგებიან, - გვითხრა რაულ თავართქილაძემ.

ცეკვა-ვარჯანაულის სარწყავი არხი ჭვანის ხეობის 5 სოფელსა და რამდენიმე დასახლებულ უბანს ემსახურება. არხის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობის თანადგომაც კარგია. ცეკველმა ზურაბ ბერიძემ კომპანიის წარმომადგენლებს საკუთარი სახლი ღამისთევისთვის უფასოდ დაუთმო.

პროგლემა

როგორ გავთავისუფლდეთ პლასტმასის ნარჩენებისგან?

ხატია იაშვილი 555 18 48 88

უკვე წლებია, ჩვენს ქალაქში რამდენიმე ადგილას გამოჩნდა ნაგვის ურნები, სადაც გამოყოფილია სხვადასხვა სახის ნარჩენისთვის საჭირო სათავსო, თუმცა ამდენივე წელია, მისი ფუნქცია თითქმის ყველამ დავივიწყეთ.

ისევ ვხედებით ნაგვის ურნებში, სკვერებში, პარკებში, ტყეში, ზღვის სანაპიროზე და თავშეყრის მრავალ ადგილას პლასტმასის ბოთლებს, პარკებს და სხვადასხვა ნარჩენს, რომლებიც დახარისხების განცალკევებულ სათავსოებში უნდა მოთავსდეს, რათა შემდეგ რეციკლირებას დაექვემდებაროს და კვლავ ჩაეშვას წარმოებაში ანუ შესაძლებელი გახდეს მათი თავიდან გამოყენება. ისიც ყველამ კარგად ვიცით, რომ პლასტმასის ნიადაგში მოხვედრა აბინძურებს გრუნტის წყლებს, ის კი ჩვენს საკვებ რაციონში ხვდება. ამ და სხვა პრობლემის წარმოქმნის შესახებ გარემოსდამცველი კახა გუჩმანიძე გვესაუბრა: „პლასტმასის გადამუშავება ხდება საქართველოშიც, თუმცა მასშტაბები და მოცულობა არცთუ ისე დიდია. ამას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის რეციკლირების ბიზნესის სიმცირე და სეპარირების სისტემების არქონა. რაც შეეხება ნიადაგში მოხვედრას, რადგან პლასტმასის სრულ დაშლას, პირობითად, 500-დან 1000 წლამდე სჭირდება, ის წლების მანძილზე დაუშლელად არის ნიადაგში, ხვდება სხვადასხვა მღრღნელის კვებით ჯაჭვში და იწვევს ტოქსიკური ნივთიერებების გამრავლებას. ასევე, ნიადაგში ამ გზით ხვდება მავნე ნივთიერებები, რაც, საბოლოოდ, ნიადაგთან ერთად აბინძურებს გრუნტის წყლებს და ხვდება ჩვენს კვებით ჯაჭვში. რაც შეეხება პროპაგანდას - ანუ ცნობიერების ამაღლების ტრენინგ-სემინარებს, ასეულობით ჩატარებულა“, - გვითხრა გარემოსდამცველმა კახა გუჩმანიძემ.

როგორც გავარკვიეთ, ბათუმის შპს „სანდასუფთავების სამსახური“ ყველა იმ ნარჩენს აგროვებს და ამუშავებს, რომელიც ნიადაგში მოხვედრის დროს საზიანოა ჩვენი ჯანმრთელობისთვის. უწყების მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ირინა ბერიძემ გვითხრა, რომ მათი შეგროვება სეპარირების გზით ხდება.

„შპს „სანდასუფთავება“ სეპარირების გზით შეგროვებულ პლასტმასის ბოთლებსა და მუყაოს ამუშავებს სპეციალური პრესდანადგარის საშუალებით, რის შემდეგაც რეალიზებას ახდენს აუქციონის წესით. ამ ეტაპისთვის რეალიზება გაუკეთდა 164 ტონა მუყაოს, მზადდება - 60 ტონა მუყაო და 8 ტონა პლასტმასის ბოთლი“, - გვითხრა ირინა ბერიძემ.

ცნობისათვის: პლასტმასა XIX საუკუნეში გამოიგონეს, ხოლო მისი აქტიური წარმოება 1950 წლიდან დაიწყო. ამას უამრავი მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში ის, რომ მისი წარმოება ნაკლები რესურსითაა შესაძლებელი, გამძლეა, შესაძლებელია ნებისმიერი ფორმის მიცემა, ელასტიკურია და ა.შ. მისი წარმოებით მრავალი პრობლემა გადაიჭრა, თუმცა დღეს ამ კომფორტის მავნე შედეგებს ვიმკით. უახლესი მონაცემებით, მსოფლიო ოკეანეში ყოველწიურად 12 მილიონ ტონაზე მეტი პლასტმასა ხვდება, რაც ფრიად საგანგაშო ციფრია.

ქრონიკა

აჭარის მთავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციით, მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკვაძე ართვინის დეპუტატს თურქეთის პარლამენტში ფარუქ ჩელიკს და დამოუკიდებელ მრეწველთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტს მაჰმუთ ასმალთს შეხვდა. „ასოციაციამ თავისი წარმომადგენლობა ბათუმშიც გახსნა. იგი ბიზნესმენებისა და მრეწველების ინიციატივით დაარსდა და 60 ათას საწარმოს და 2 მილიონამდე დასაქმებულს აერთიანებს.

* * *

სექტემბრის თვის ბოლოს ტურისტებს ახალი ბილიკით სარგებლობის საშუალება ექნებათ. თითქმის სრულდება ხიხანის ციხეზე ასასვლელი ერთკილომეტრიანი საფეხმავლო ბილიკის მონტაჟი. როგორც აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში აცხადებენ, ტურისტული ბილიკი ხიხანის ციხის დალაშქვრის გამარტივებისთვის მოაწყვეს, ეს კი ციხეზე ასვლას უსაფრთხოსა და მიმზიდველს გახდის.

ახალი ბილიკის მშენებლობა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ, ტურიზმის დეპარტამენტის უფროსმა თინათინ ზოიძემ და სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

* * *

აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის“ 2023 წლის პროგრამის ფარგლებში უსაფრთხო საცხოვრისი დამატებით 11-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა შეიძინა. საკუთრების რეგისტრაციის პროცედურა ბათუმის იუსტიციის სახლში გაიმართა, რომელსაც აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ედუარდ ნაკაშიძე ესწრებოდა.

* * *

30 აგვისტო უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საერთაშორისო დღეა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, სამთავრობო უწყებების და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრებმა ბათუმში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

ღონისძიებას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე და მინისტრის მოადგილეები ესწრებოდნენ.

* * *

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის საკრებულოს წევრის რეზო ხარაზის განაცხადებით, „ქართული ოცნება“ მალავს ინფორმაციას, რომ 200 მილიონი ლარის გამოყენებას გეგმავენ 2024 წლის საარჩევნო კამპანიისთვის. „ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერი ისევეა განწირული კორუფციისთვის, როგორც ბათუმში, გმირთა ხეივნის მშენებლობა, სადაც 33 მილიონ ლარს ხარჯავს გაურკვეველ და დაუსრულებელ სამუშაოებში. ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროგრამის ფარგლებში, გამოაცხადა ტენდერი 200 მლნ ლარზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობით კი აღმოჩნდა, რომ გაურკვეველია რა უნდა გაკეთდეს 200 მილიონ ლარად. ანუ კონკრეტულად რომელი უბნის ქუჩების და შენობების მშენებლობა - რეაბილიტაცია იგეგმება.

უკვე ორი თვის განმავლობაში არ გვაწვდის არც საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო და არც ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ინფორმაციას, თუ რა სამუშაოები არის დაგეგმილი ამ კონკრეტული პროექტის ფარგლებში“, - აცხადებს რეზო ხარაზი.

* * *

„ევრონიუსი“ სამოგზაურო გადაცემისთვის ბათუმის შესახებ ვრცელ რეპორტაჟს ამზადებს, რომელიც გავლენიანი ტელევიზიის ეთერში სექტემბერში გავა. სიუჟეტში საუბარი იქნება ბათუმის მრავალფეროვან ტურისტულ შესაძლებლობებზე, ქართულ გასტრონომიაზე, ფოლკლორსა და ღვინის დაყენების 8 000 წლოვან ტრადიციაზე. აღნიშნული გადაცემის გადამღებმა ჯგუფმა აჭარის საინვესტიციო გარემოზე, ეკონომიკურ შესაძლებლობებზე და კიდევ არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, ინფორმაცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარისგან მიიღო.

* * *

მალე გრიბოედოვისა და რუსთაველის ქუჩების კვეთის მიმდებარედ 400 კვმ ფართობზე სუბტროპიკული მცენარეებითა და მექსიკური ელემენტებით დატვირთული ახალი სკვერი გაშენდება. როგორც ბათუმის ბულვარში აცხადებენ, პროექტის მიხედვით დაგეგმილია ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა: ფილების დაგება, ბუნებრივი ქვით ფორმირებული სკამების მთლიან პერიმეტრზე განთავსება, დეკორატიული შადრევნისა და განათების მონტაჟი.

„საპროექტო სივრცეში სხვადასხვა სახეობის 2 700 ძირამდე ხე-მცენარე დაირგვება. მათ შორისა, სუკულენტები, კაქტუსები, აგავები, ზეთისხილი, სელი და ა.შ. სკვერის მიმდებარედ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სავარჯიშო ტრენაჟორები მოეწყობა. ახალი სკვერი დამატებითი მიზიდულობის ადგილს შექმნის ბულვარის ვიზიტიორებისთვის“, - ნათქვამია უწყების ოფიციალურ განცხადებაში.

* * *

4 სექტემბრიდან ქვეყნის ოთხ ქალაქში მანქანების გამონაბოლქვზე კონტროლი დაიწყება.

თბილისში, ბათუმში, ქუთაისსა და რუსთავში სპეციალურად გამოყოფილი 10 ეკიპაჟი გადანაწილდება. ავტომობილებს გზაზე ხილული გამონაბოლქვის არსებობის შემთხვევაში გააჩერებენ და სპეციალური ხელსაწყოთი შეამოწმებენ.

მავნე ნივთიერებების გადაჭარბების შემთხვევაში ფიზიკურ პირს 100, იურიდიულ პირს კი 500 ლარით დააჯარიმებენ. განმეორების შემთხვევაში ჯარიმა გასამმაგდება.

კონტროლის გამკაცრების მიზეზი, სპეციალისტების განმარტებით, დიდ ქალაქებში ჰაერის დაბინძურების მაღალი მაჩვენებელია, რასაც, ძირითადად, ავტოტრანსპორტი იწვევს. თუ ავტომობილის მფლობელი შემოწმების შედეგებს არ ეთანხმება, მას უფლება აქვს, მოითხოვოს ავტომობილის უახლოეს ტექინსპექტირების ცენტრში გადაყვანა, სადაც ავტომობილს განმეორებითი ტექინსპექტირება მძღოლის ხარჯებით ჩაუტარდება.

* * *

წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობა 12 მილიონ 600 ათასი ლარითაა განსაზღვრული, ჩარიცხვების შესახებ საბოლოო პასუხები კი კვირის ბოლოს უნდა გამოქვეყნდეს. გამოცდების საფუძველზე გასაცემი სახელმწიფო სასწავლო გრანტის სრული ოდენობა წელსაც 2 ათას 250 ლარი იქნება. ამასთან, დადგენილების მიხედვით, ის სტუდენტები, რომლებიც სტუდენტთა საგრანტო კონკურსში მოიპოვებენ სრულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს, ნაწილობრივ სახელმწიფო სასწავლო გრანტს, ან ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო გრანტის ოდენობის გაზრდის უფლებას, მოპოვებული ქულების მიხედვით, 215 ათასი ლარის ფარგლებში დაფინანსდებიან.

* * *

სახლში, სადაც საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, 1945-1953 წლებში ბათუმის მთავარი არქიტექტორი კახა ჯავახიშვილი ცხოვრობდა (ნოდარ დუმბაძის №3), ბათუმის მერიის, ადგილობრივი საკრებულოს მხარდაჭერითა და ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოსა და ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიის ხელმძღვანელის ოლიკო ჟღენტის ინიციატივით, მემორიალური დაფა გაიხსნა. სხვათა შორის, ეს სახლიც მისი დაპროექტებულია. კახა ჯავახიშვილი დიდი ივანე ჯავახიშვილის შვილი გახლდათ.

კახა ჯავახიშვილს რამდენიმე შესანიშნავი არქიტექტურული ნამუშევარი ჰქონდა. მათგან გამორჩეულია ბათუმის საზაფხულო თეატრი, რომელიც მართალია, ბოგდან კირაკოსიანთან ერთად კი დააპროექტა, მაგრამ იმ დროისთვის ის იყო ქალაქის მთავარი არქიტექტორი, ყველა სერიოზულ მშენებლობას ხელმძღვანელობდა და სწორედ მისი მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა ბათუმში ინფრასტრუქტურული, კეთილმოწყობითი სამუშაოები.

* * *

საქართველოს ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებულად ასპარეზობს, თავის ჯგუფში პირველი ისტორიული გამარჯვება ჯერ კაბო-ვერდეს გუნდთან მოიპოვა, შემდეგ კი ვენესუელას გუნდს დაუპირისპირდა და გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 70-59 დაამარცხა.

ამ გამარჯვებებით საქართველოს კალათბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ჯგუფური ეტაპი წარმატებით დასძლია და ოცდათორმეტი ქვეყნის ნაკრებიდან 16 საუკეთესოში შევიდა. რაც შეეხება მეორე ჯგუფურ ეტაპს, ჩვენი ნაკრები გერმანიასთან, ავსტრალიასა და სლოვენიასთან ერთად მოხვდა ჯგუფში. სწორედ ამ ჯგუფიდან ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს ასპარეზობას. საქართველო პირველ სექტემბერს გერმანიას, ხოლო სამ სექტემბერს ავსტრალიის გუნდს შეხვდება.

ბათუმში თოჯინების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დაარსდება

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის 87-ე სეზონი ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალით გაიხსნება. 8 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით, ქალაქი თოჯინების მრავალფეროვან სამყაროში იმოგზაურებს

ფესტივალში მონაწილე მსახიობები, 6 მეტრის ყველაზე საყვარელ და პოზიტიურ თოჯინასთან - „ხეტიალასთან“ ერთად, ბათუმის ქუჩებს მოივლიან, „საოცრებათა მოედანზე“ კი კახაბერის მუსიკის თანხლებით, საოცარ ემოციებს შეუქმნიან როგორც ქალაქის ვიზიტიორებს, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას. საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი საქართველოში პირველად ტარდება და მას ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი, საქართველოს თოჯინების პროფესიული თეატრების გაერთიანებასთან ერთად აფუძნებს. ფესტივალში მონაწილე შვიდი პროფესიული სახელმწიფო თეატრი საერთაშორისო ჟიურის, რომელიც თურქეთის, ყაზახეთისა და პოლონეთის წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, 8 საკონკურსო და ორ არასაკონკურსო სპექტაკლს წარუდგენს. გამარჯვებული სხვადასხვა ნომინაციაში გამოვლინდება. ფესტივალის ფარგლებში როგორც ქართველი, ასევე უცხოელი რეჟისორები, ხელოვნებათმცოდნეები ქართველი მსახიობებისთვის მასტერკლასებს ჩაატარებენ. როგორც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ირაკლი კიკვაძემ გვითხრა, საერთაშორისო ფესტივალის დაფუძნების იდეა ამ თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან გაუჩნდა და მას თანამოაზრეებთან ერთად, ხორცი შეასხა.



- მიხარია, რომ საქართველოში პირველად გაიმართება საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი, რისთვისაც მინ-

და მადლობა გადავუხადო თითოეულ ადამიანს, უწყებას, ვინც ჩანაფიქრის განხორციელების შესაძლებლობა მომცა. თავდაპირველად იდეის შესახებ ინფორმაცია საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელს და ჩვენი თეატრის ერთგულ მეგობარს ნიკოლოზ საბაშვილს მივაწოდე, რომელმაც ამ პროექტზე ერთობლივი მუშაობის სურვილი გამოთქვა. დიდი მხარდაჭერა გამოგვიცხადეს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ, მინისტრმა, ქალბატონმა მაია ხაჯიშვილმა, ბათუმის მერიამ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ, რამდენიმე კერძო კომპანიამ, რომელთა თანადგომა უმნიშვნელოვანესია. ეს გვაფიქრებინებს, რომ ფესტივალს ტრადიციული სახე მიეცემა. პირველ ეტაპზე საერთაშორისო ჟიური გვყავს, თუმცა მომავალში მის შემადგენლობაში ქართველებიც იქნებიან. ფესტივალის მიზანია, პოპულარიზაცია გაუწიოს თოჯინურ თეატრებს, ამ სფეროში მოღვაწე ადამიანები ერთმანეთს დაუახლოოს, რათა მეტი ერთობლივი პროექტი განხორციელდეს, - გვითხრა ირაკლი კიკვაძემ.

ფესტივალის ფარგლებში არაერთი აქტივობა გაიმართება, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს, თუ როგორი საინტერესო და მრავალფეროვანია თოჯინური სამყარო. როგორც ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა აღნიშნა, ფესტივალზე სახელმწიფო თეატრები ქართველი რეჟისორების მიერ დადგმულ იმ სპექტაკლებს წარმოადგენენ, რომლებმაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში პრიზები მიიღო.

- ჩვენი თეატრი ფესტივალზე ორი სპექტაკლით - ელენე მაცხონაშვილის „წერილი ჯერალდინას“ და იოსებ ბაკურაძის „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“ წარსდგება. 87-ე თეატრალური სეზონის გახსნის დღეს, თოჯინების თეატრების მსახიობები, რომლებსაც ფესტივალის ბრენდირებული მაისურები ეცმევათ, მსვლელობას მოაწყობენ ანბანის კოშკისკენ და მათ წინ გაუძღვება ჩვენი უსაყვარლესი 6-მეტრიანი თოჯინა „ხეტიალა“, რომელიც ძალიან შეიყვარა მაყურებელმა. ვფიქრობ, ეს იქნება 6-დღიანი დაუვიწყარი დღესასწაული, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში ისაუბრებენ ქალაქში. ფინანსური მხარდაჭერისთვის მინდა კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, დეველოპერულ კომპანია „ნექსთ გრუპს“, ბაზის ბანკს, ასევე, ფესტივალის მხარდამჭერებს - ბათუმის მერიას, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას, საქართველოს ინვესტორთა ასოციაციას - IIA, საკონდიტრო კომპანია „დონას“ და მუსიკოს კახაბერ ცისკარიძეს, ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერებს: აჭარის ტელევიზიას და რადიოს, გაზეთ „აჭარას“. რომ არა მათი თანადგომა, ვერ შევძლებდი ჩვენი ჩანაფიქრის განხორციელებას, - განაცხადა ირაკლი კიკვაძემ.

ფესტივალის ფარგლებში მასტერკლასებს ჩაატარებენ მსახიობი, რეჟისორი, ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი მანანა ბერიკაშვილი, თოჯინების თეატრის მსახიობი, ანკარის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დირექტორი მარინა იუჯე, თეატრის კრიტიკოსი, ხელოვნების ისტორიის დოქტორი ანარა იერკებაი და ვარშავის BAJ-ის თეატრის დირექტორი ევა პიოტროვსკა.

- როგორც იქნა, ქართულ თეატრალურ სივრცეს ეღირსა საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალი, რომელიც უმნიშვნელოვანესია დარგის განვითარებისათვის. მოხარული ვარ, რომ ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს თოჯინების პროფესიული თეატრების გაერთიანების, ასევე არაერთი მხარდამჭერის ძალისხმევით, საქართველოს ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფესტივალი შეემატება. მომავალი წლიდან ქართულ დასებს სხვა ქვეყნის დასებიც შეუერთდება, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანს და მასშტაბურს გახდის ღონისძიებას. მინდა მადლობა გადავუხადო ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ირაკლი კიკვაძეს, დირექტორ იმედა თავდგირიძეს და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელ მარეხ ტულუშს. მათთან მუშაობა ძალიან კომფორტული და საინტერესოა. ამ ფესტივალით ჩვენი თეატრების მსახიობები ერთმანეთს კიდევ უფრო დაუახლოვდებიან, რაც მომავალში არაერთი მნიშვნელოვანი პროდუქტის შექმნის წინაპირობა გახდება და სფეროს წინსვლასა და განვითარებას შეუწყობს ხელს, - გვითხრა საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელმა და ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელმა ნიკოლოზ საბაშვილმა.

ფესტივალის ორგანიზატორები არიან ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი და საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება, ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელები - ირაკლი კიკვაძე და ნიკოლოზ საბაშვილი, დირექტორები - იმედა თავდგირიძე და კონსტანტინე ქარქაშაძე. ფესტივალის ფარგლებში 10 სპექტაკლი გაიმართება, რომელზეც დასწრება თავისუფალია.

თეატრი მნიშვნელოვანი ფესტივალებისთვის ემზადება

ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის 87-ე თეატრალური სეზონი მნიშვნელოვანი სიახლეებით იქნება სავსე. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გვითხრა, გუნდთან ერთად ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო ფართო აუდიტორიას გააცნოს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის შემოქმედება, სპექტაკლები, რომლებმაც მაყურებელთა დიდი მოწონება და სიყვარული დაიმსახურა

ირაკლი კიკვაძის ინფორმაციით, თეატრის ისტორიაში პირველად, დასი რეჟისორ ელენე მაცხონაშვილის სპექტაკლით „საიდანაც მზე მოდიოდა“ საფრანგეთში, 16-19 სექტემბერს, მსოფლიო თოჯინების თეატრების ყველაზე მასშტაბურ ფესტივალზე „The FMTM is the largest puppet theatre festival in the world since 1961“ წარსდგება, საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ კი, 26 სექტემბერს, იოსებ ბაკურაძის სპექტაკლით „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“ მონაწილეობას მიიღებს თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში. აღსანიშნავია, რომ ამ სპექტაკლმა 2022-2023 წელს საქართველოში თოჯინურ სპექტაკლებს შორის ქართველი თეატრმცოდნეებისგან ერთ-ერთი გამორჩეული შეფასება დაიმსახურა.

- ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის 87-ე თეატრალური სეზონი 8 სექტემბერს „ბათუმის საერთაშორისო თოჯინების თეატრალური ფესტივალით“ გაიხსნება, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგი სტარტი და იმის წინაპირობაა, რომ მთელი სეზონი საინტერესო აქტივობებით იქნება დახუნძლული. აღნიშნული ფესტივალი 13 სექტემბერს დასრულდება, 16 სექტემბერს კი წარვსდგებით საფრანგეთში, თოჯინურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თოჯინური თეატრების არაერთი დასი იღებს მონაწილეობას. ძალიან გახარებული ვარ, რადგან ჩვენთვის იქ მოხვედრა დიდი ბედნიერება და პატივია. მინდა მადლობა გადავუხადო აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელმაც გამოყო თანხა, რომ ჩვენ ამ მნიშვნელოვან ფესტივალზე გავმგზავრებულიყავით. ვფიქრობ, კარგად წარვსდგებით ფრანგი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაყურებლის წინაშე. 26 სექტემბერს მონაწილეობას მივიღებთ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, საიდანაც ჩემი მოლოდინით, რომელიმე საპრიზო ადგილს ჩამოვიტანთ, რადგან სპექტაკლმა „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“, რომელიც წინა წელს, დედაქალაქში გასტროლის დროს ნახა მაყურებელმა, ძალიან კარგი შეფასება მიიღო როგორც მაყურებლებისგან, ასევე, თეატრმცოდნეებისგან. მოლაპარაკებები გვაქვს აზერბაიჯანის თოჯინების სახელმწიფო თეატრთან და სავარაუდოდ, ოქტომბრის დასაწყისში, გასტროლით, ჩვენი თეატრის დასი კვლავ იოსებ ბაკურაძის სპექტაკლით „ზურმუხტქალაქის ჯადოქარი“ წარსდგება იქაური მაყურებლის წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ ძალიან საინტერესო 87-ე თეატრალური სეზონი გველოდება წინ, - გვითხრა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო

თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა.

ირაკლი კიკვაძის ინფორმაციით, 87-ე თეატრალურ სეზონზე გეგმის მიხედვით მაყურებელს ხუთი სპექტაკლის პრემიერას წარუდგენენ, პირველ სპექტაკლს რეჟისორი ავთო დიასამიძე დადგამს.

- ის ფესტივალები, რომლებშიც ვმონაწილეობთ, ჩვენი თეატრისთვის, დასისთვის უმნიშვნელოვანესია, რადგან გვიწევს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და ბევრი რამ უნდა მოვუყვეთ ჩვენი ქვეყნისა და კულტურის შესახებ მსოფლიოს. დარწმუნებული ვარ, ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასი წარმატებით წარსდგება ყველა ზემოთ ნახსენებ ფესტივალზე. თეატრის მიზანია, შექმნას პროდუქტი, რომელიც ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი მაყურებლისთვის, - აღნიშნა ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის დირექტორმა იმედა თავდგირიძემ.

გვერდი მოამზადა
ნანა აბულაძემ

პასუხგაუცემელი კითხვა: როდის მოწესრიგდება ბათუმში გადაადგილების სისტემა?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

- ბათუმი საცობების ქალაქად გადაიქცა, არ აქვს მნიშვნელობა არც სამუშაო და არც უქმე დღეებს, მუდმივად გადატვირთულია ქუჩები. ფაქტია, რომ ჯეროვნად არ იმართება პარკირების პოლიტიკა, - გვითხრა ბათუმის მკვიდრმა რეზო შავაძემ და დასძინა, რომ აუცილებელია აღნიშნული მიმართულებით ძირეული და არა ზედაპირული ცვლილებები, რომლის შედეგსაც ვერ გრძნობს საზოგადოება და პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება

- საცობი არის ნიშანი იმისა, რომ ქალაქის სივრცითი, ურბანული და სატრანსპორტო განვითარება არ ხდება სწორი მიმართულებით. შესაბამისად, მთავარი კითხვა უნდა იყოს არა ის, თუ როგორ ვებრძოლოთ საცობს, არამედ როგორ გავაჯანსაღოთ ქალაქის განვითარება, განაშენიანება და სატრანსპორტო პოლიტიკა. ურბანული გადაადგილების სწორი პოლიტიკა მიმართულია არა საცობის შემცირებაზე, არამედ საზოგადოებრივი და ველო ტრანსპორტის, ასევე ფეხით გადაადგილების პრიორიტეტიზაციაზე, მათი მიმზიდველობისა და კომფორტის ზრდაზე, ავტომობილით გადაადგილების გარკვეულ შეზღუდვებზე. ამას გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა მოჰყვეს საცობის შემცირებაც. საცობი უფრო სიღრმისეული პრობლემის მხოლოდ და მხოლოდ სიმპტომია, შესაბამისად, მხოლოდ მასთან ბრძოლა შედეგს არ მოგვიტანს, - გვითხრა **ლაშა ნაკაშიძემ,** რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის მიერ 2015 წელს გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის დაფინანსებით დაწყებულ პროექტს „მწვანე ქალაქები“ ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით აღნიშნული პროექტის რეკომენდაციები, მიზნები და გეგმები ბათუმის მერიამ, ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების გეგმაში ასახა, რომელიც 2018 წელს ბათუმის საკრებულომ დაამტკიცა როგორც ქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტი. ლაშა ნაკაშიძის განმარტებით, გეგმა ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესება, პარკირების ახალი პოლიტიკა, ველო და ქვეითთა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სხვა. მისივე თქმით, ყურადღება იყო გამახვილებული ურბანული ტრანსპორტისა და გადაადგილების სფეროში არსებულ მზარდ გამოწვევებზე, რომლებიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, ადამიანებზე, ქალაქში არსებულ სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

- პარკირების პოლიტიკა დღეს ქალაქში, პრაქტიკულად, არ ხორციელდება, ის მხოლოდ ქაღალდზეა, დამტკიცებული წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს მიერ (ვგულისხმობ ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების გეგმას), იმისათვის, რომ ბათუმში შემცირდეს საავტომობილო ნაკადები და გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით და ველოსიპედით გადაადგილება, მნიშვნელოვანია ეფექტური პარკირების პოლიტიკის გატარება. ეს გულისხმობს: ზონალურ-საათობრივი პარკირების სისტემის შემოღებას ქალაქის ცენტრალურ, ყველაზე გადატვირთულ ნაწილში და მის შემდგომ გაფართოებას, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ქუჩის გასწვრივ პარკირების ადგილების შემცირებას, ძველ ბათუმში ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვას პირველ ეტაპზე და საბოლოოდ, მის ავტომობილებისაგან თავისუფალ ზონად გარდაქმნას, ქალაქის ვიზიტიორთათვის ქალაქის შემოსასვლელებში ე. წ. გადასასხდომი პარკირების სივრცეების მოწყობას და სხვა. სამწუხაროდ, გადაწყვეტილების მიმღები პირები და პოლიტიკოსები ხშირად სწორედ საცობს აღიქვამენ მთავარ პრობლემად, რაც შემდეგ იწვევს არასწორი გადაწყვეტილებების მიღებას, როგორიც არის გზების გაფართოება, ახალი გზების მშენებლობა, პარკირების ადგილების დამატება, გადაადგილების დასაშვები სიჩქარის გაზრდა და ასე შემდეგ, - აღნიშნა ლაშა ნაკაშიძემ.

მას ასევე ვკითხეთ, რა შეზღუდვების დაწესებას მიიჩნევს საჭიროდ საავტომობილო ნაკადების განსატვირთად. ლაშა ნაკაშიძე მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრობლემის მოგვარებას კომპლექსური მიდგომა სჭირდება, მათ შორის, მკაცრი და შემზღუდავი პარკირების პოლიტიკის გატარება და მისი ეფექტური აღსრულება. მისივე თქმით, მნიშვნელოვანია, ქალაქმა ასევე განიხილოს გარკვეულ ქუჩებსა და ზონებში საავტომობილო გადაადგილების შეზღუდვა და აკრძალვა.

- ბათუმს, ტურისტული სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული სეზონურობა ახასიათებს სატრანსპორტო ნაკადების თვალსაზრისით. ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის შემოსასვლელებში ვიზიტიორთათვის პარკირების სივრცეების მოწყობა, უმრავლესობამ სწორედ იქ დატოვოს კერძო ავტომობილი და ქალაქში ყოფნის პერიოდში გადაადგილდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ქვეითად ან ველოსიპედით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ურბანული განვითარების, სივრცის დაგეგმარების და განაშენიანების პოლიტიკის ზეგავლენა ქალაქის სატრანსპორტო სისტემაზე. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში მრავალი წლის განმავლობაში მიმდინარე ქაოსური და დეველოპერთა მოგებაზე ორიენტირებული ურბანული განაშენიანება, უარყოფით გავლენას ახდენს გადაადგილების სისტემაზე და გაბატონებულ როლს ანიჭებს კერძო ავტომობილს. ჩემი აზრით, ბათუმს საკმაოდ მცირე შესაძლებლობა დარჩა, რომ გამოასწოროს გადაადგილების სისტემა ქალაქში მიმდინარე ქაოსური განაშენიანების ფონზე. შესაბამისად, ამ მიმართულებით გაბედული და არსებითი ნაბიჯებია გადასადგმელი, - გვითხრა ლაშა ნაკაშიძემ.

მან ასევე ისაუბრა საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბათუმის მდგრადი ურბანული გადაადგილების გეგმის ერთ-ერთ ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტზე, როგორიცაა ძველ ბათუმში ავტომანქანების შეზღუდვა.

- მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ძველ ბათუმში ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვა და მისი არსებითად საფეხმავლო ზონად ქცევა არა მარტო სატრანსპორტო სისტემაზე აისახება დადებითად, არამედ სრულიად ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ქალაქის ისტორიულ ნაწილს და გააჩენს ახალ შესაძლებლობებს მისი უკეთ შენარჩუნებისა და იქ მრავალფეროვანი საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობისთვის, - განაცხადა ლაშა ნაკაშიძემ.

> ***„მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით, სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ძველ ბათუმში ავტომობილით გადაადგილების შეზღუდვა და მისი არსებითად საფეხმავლო ზონად ქცევა არა მარტო სატრანსპორტო სისტემაზე აისახება დადებითად, არამედ სრულიად ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ქალაქის ისტორიულ ნაწილს და გააჩენს ახალ შესაძლებლობებს მისი უკეთ შენარჩუნებისა და იქ მრავალფეროვანი საზოგადოებრივი და ეკონომიკური საქმიანობისთვის“***

რა კეთდება იმისათვის, რომ სრულად მოხდეს ქალაქის სივრცითი, ურბანული და სატრანსპორტო განვითარება, მოგვარდეს ამ მხრივ არსებული პრობლემები, მათ შორის, საცობისა და პარკირების, რომელიც ასე აწუხებს მოსახლეობას? რატომ არ აისახა დღემდე ზემოთ ნახსენები დოკუმენტი (მასში ნაგულისხმევი ცვლილებებით), რომელიც 2018 წელს დაამტკიცა ქალაქის საკრებულომ, ჩვენი ქალაქის ყოველდღიურობაში? - ამ კითხვებით ბათუმის მერიას მივმართეთ, პასუხს კი თითქმის ერთი კვირაა, უშედეგოდ ველოდებით. შესაბამისად, საკითხი, რომელიც ასე აწუხებს საზოგადოებას, პასუხისმგებელი ორგანოსგან უპასუხოდ დაგვრჩა.

ნუ დაყრით ნაგავს, გაუფრთხილდით ქალაქს

მანანა ტაკიძე 577 10 15 17

რამდენიმე დღეა, მოქალაქეები სოციალურ ქსელში გადავსებული ნაგვის ურნებისა და ნაგავსაყრელად ქცეული ქუჩების ფოტოებს აქვეყნებენ და უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამის გამო

ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ბათუმის სანდასუფთავების სამსახურს.

„სანაგვე ურნების დროულად დაცლა ვერ ხერხდება ქუჩებში მომრავლებული მანქანების, არასწორი პარკირებისა და საცობების გამო. ნაგავმზიდ მანქანებს საცობში დგომა უწევთ, რაც აფერხებს მათ მუშაობას. საგზაო მოძრაობის განტვირთვასა და სანდასუფთავების მანქანების გატარებას ხშირად უზრუნველყოფენ შესაბამისი სამსახურები, რომელთა დახმარების გარეშე ვერ ხერხდება კონკრეტულ ლოკაციებამდე მისვლა“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ბევრი „ნასუფრალს“ იქვე - ქუჩაში ტოვებს, ვერ ხვდება, რომ ამით აზიანებს ქალაქის იმიჯს. სისუფთავის დაცვა ყველას მოვალეობაა და ეს კარგად უნდა გავითავისოთ.

აუზში „აღნიშნული კაბელები არ იყო საფრთხის შემცველი“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

სოციალურ ქსელებში (და არამარტო) ხშირად გვინახავს შეშფოთებული ადამიანების სტატუსები თუ განცხადებები, რომლებიც შესაბამის სამსახურებს მიმართავენ და, უსაფრთხოების ამა თუ იმ ნორმის დარღვევის გამო, დროული რეაგირებისკენ მოუწოდებენ

სამწუხაროდ, იმის არაერთი ფაქტი არსებობს, როგორ შეიწირა ერთი ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის თუ კონკრეტული სამსახურის გულგრილობამ ადამიანის სიცოცხლე.

2022 წლის 13 ოქტომბერს ვაკის პარკში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელმაც მარიტა მეფარიშვილის სიცოცხლე იმსხვერპლა, კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ აუცილებელია, შესაბამისმა სამსახურებმა გადაამოწმონ ყველა ელექტროგაყვანილობა, სადაც შესაძლოა ადამიანებს მიუწვდებოდეთ ხელი, რათა თავიდან ავიცილოთ ელექტროტრავმა თუ სხვა სახის დაზიანებები ან, უარეს შემთხვევაში, დაღუპვა.

გაზეთი „აჭარა“ ეხმიანება ბათუმში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქის ფეისბუქსტატუსს, რომელსაც ფოტოსთან ერთად აქვეყნებს და წერს, რომ ხელოვნების მუზეუმის ეზოში არსებულ შადრევანში ღიად ჩანს ელექტროსადენები. მოქალაქე იქვე სვამს კითხვას: რამდენად საშიშია ეს და, მით უფრო - მაშინ, როცა იქ დღის განმავლობაში ბავშვები სეირნობენ, თამაშობენ და წყალში ხელს ყოფენ?

მოქალაქის მიერ გამოქვეყნებული ფოტოს და ამბის შესახებ კითხვა ბათუმის მუნიციპალური სერვისების სააგენტოს დავუსვით, სადაც გვიპასუხეს, რომ ფაქტზე უკვე მოახდინეს რეაგირება, თუმცა იქვე დასძინეს, რომ აღნიშნული კაბელები არ იყო საფრთხის შემცველი: „აღნიშნულ შადრევანში არსებული სადენი არის წყლის დონის დამცავი, რაც არ არის დენის გამტარი და, შესაბამისად, არ წარმოადგენს საშიშროებას“, - ნათქვამია სააგენტოს მიერ გამოგზავნილ შეტყობინებაში.

„ღამის სერენადები“ უხდება ბათუმს

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საერთაშორისო ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს მეთხუთმეტედ ჩატარდა (თუმცა ის არსებობის 41 წელს ითვლის)

ფესტივალის დამფუძნებელი მსოფლიოში აღიარებული ქართველი მევიოლინე და დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი ლიანა ისაკაძეა, რომელიც მეუღლის ტრაგიკულად დაღუპვამდე მასში ყოველთვის მონაწილეობდა. ეს, რა თქმა უნდა, გამორჩეულ ხიბლს ჰმატებდა ამ ფესტივალს, თუმცა ამჟამინდელი ორგანიზატორები (ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი - გიორგი ისაკაძე, ფესტივალის დირექტორი - ნინა ცაგარელი და მთლიანად საორგანიზაციო ჯგუფი) ყველაფერს აკეთებენ, რომ ფესტივალის თამასა არ დასწიონ, რასაც შესანიშნავად ახერხებენ კიდეც.

„ღამის სერენადები“ სხვადასხვა დროს მსოფლიო დონის არაერთ მუსიკოსს მასპინძლობდა, რომლებიც თავიანთი პროფესიონალიზმით გვაოცებენ. ფესტივალი წელსაც საინტერესო და მრავალფეროვანი გახლდათ.

ერთი თვის განმავლობაში ექვსი კონცერტი იყო დაგეგმილი - ბორჯომში, ბათუმსა და თბილისში.

ბათუმური კონცერტის მონაწილეებსა და მსმენელებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძე მიესალმა, ისაუბრა იმ ხელოვანებზე, რომლებიც თავის დროზე ფესტივალის აქაურ კონცერტებზე გამოდიოდნენ, ჯანმრთელობა უსურვა ლიანა ისაკაძეს და მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს - გიორგი ისაკაძეს, ნინა ცაგარელს, ლელა მჭედლიძეს (ორკესტრ „საქართველოს ვირტუოზების“ პირველ ვიოლინოსა და კოცერტმაისტერს) ფესტივალის საუკეთესოდ ჩატარებისთვის.

გიორგი ისაკაძემ აღნიშნა, რომ საზეიმო გახსნა წელს ბორჯომში გაიმართა, რითაც ტრადიცია აღდგა. - 2008 წლის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ ბიჭვინთაში ფესტივალის ჩატარება შეწყდა და გადაინაცვლა ბორჯომში სახელწოდებით „ხელოვნების ზეიმი“. მას შემდეგ 15 წელი გავიდა. წელს ეს ტრადიცია განახლდა, რაც ძალიან სასიხარულოა.

ბათუმში ფესტივალის ეგიდით საინტერესო პროგრამით მდიდარი ორი საღამო გაიმართა, მათში აღიარებული სოლისტები და ფესტივალის საბაზო ორკესტრი „საქართველოს ვირტუოზები“ მონაწილეობდნენ.

პირველ საღამოს, რომელსაც ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი მასპინძლობდა, მაყურებლის წინაშე წარსდგნენ: მრავალი ფესტივალისა და სხვადასხვა ოფიციალური ღონისძიების მონაწილე ეილიკა ვუნში (სოპრანო, იტალია, გერმანია), ის შესანიშნავი ვოკალისტი და ჩელოზე შემსრულებელიცაა, გატაცებულია პოეზიით, სწავლობდა ფილოსოფიას მიუნხენში; იტალიელი ტენორი რიკარდო მარინელო, რომელსაც პირველი პოპულარობა 18 წლის ასაკში ეწვია, როდესაც გერმანული „ნიჭიერის“ გამარჯვებული გახდა, თუმცა ამ გამარჯვებისა და მრავალი საინტერესო შეთავაზების მიუხედავად, კლასიკური მუსიკოსის კარიერა აირჩია. საღამოში მონაწილეობდნენ ელეგანტურობით, ინტელექტით, სტილითა და ვირტუოზული ოსტატობით გამორჩეული კორეელი მევიოლინე ჰეიონ პარკი და ჩვენი შესანიშნავი პიანისტი თამარ ლიჩელი.

საღამოზე შესრულდა მოცარტის, კურტისის, კალმანის, სეზარ ფრანკის, ვერდის, ფრანც ლეჰარის, პუჩინის, ედუარდო დი კაპუას ნაწარმოებები. მეორე საღამოს კონცერტის მთავარი გმირები იყვნენ ჰეიონ პარკი და თამარ ლიჩელი, რომლებმაც ჯერ ინდივიდუალურად დაუკრეს, შემდეგ - ერთად. ამჯერად პროგრამაში ბეთჰოვენის, ფერენც ლისტის, შარლ გუნოს, რალფ ვოან უილიამსისა და სერგეი რახმანინოვის ნაწარმოებები შედიოდა..

ორივე საღამო იყო ბრწყინვალე, მაყურებელმა, რომელიც მქუხარე ტაშით აჯილდოებდა მონაწილეებს და თავად მუსიკოსებმაც უდიდესი სიამოვნება მიიღეს.

- ამ ფესტივალში მონაწილეობა, ზოგადად, განსაკუთრებულია, რაც შეეხება ქალბატონ ლიანა ისაკაძეს, ბედნიერება მქონდა, მასთან ერთად არაერთხელ დამეკრა და დიდი მადლობა მას ამ წუთებისთვის. ჩვენ მართლაც გენიალური მევიოლინე გვყავს, მსოფლიოში აღიარებული. რაც შეეხება დღევანდელ საღამოს, სრულიად განსხვავებული პროგრამა იყო წარმოდგენილი. ბედნიერი ვარ, ისეთი თბილი ემოციებით შემხვდნენ, რომელიც დიდხანს გამყვება. დიდი სიყვარულით მინდა გადავუხადო მადლობა ფესტივალის თითოეულ მონაწილეს - ორგანიზატორებს, მაყურებელს, მხარდამჭერებს, - აღნიშნა თამარ ლიჩელმა.

- „ღამის სერენადები“ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საყვარელი ფესტივალია, რადგან აქ ყოველთვის ჭეშმარიტ ხელოვნებას და აღიარებულ ნიჭიერებას ვეზიარები. არც ეს წელი იყო გამონაკლისი და მიხარია, რომ დღეს მოვუსმინე როგორც ჩემთვის უკვე ნაცნობ, ასევე ახალ მუსიკოსებს, ამიტომ უკვე მოუთმენლად ველოდებით მომავალი წლის „ღამის სერენადებს“, - გვითხრა მუსიკოსმა ნატალია ორაგველიძემ.

- ურთულესი პროგრამა წარმოვადგინეთ - ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტის ახლებური ვერსია და ორმაგად ვნერვიულობდი, რადგან გვერდით იჯდა ჩემი ქალიშვილი ელენე მეგრელიშვილი, რომელიც ჩემი სტუდენტია კონსერვატორიაში. რატომ აღვნიშნე ეს? იმიტომ, რომ ეს ყველაფერი თაობიდან თაობაზე გადადის. ელენე 5 წლის იყო, როცა ქალბატონმა ლიანა ისაკაძემ, ბიჭვინთის დროებით დაკარგვის შემდეგ, ბორჯომში ეს ფესტივალი აღადგინა და, სხვა ბავშვებთან ერთად, იგი მაშინდელ კონცერტებში ქალბატონ ლიანასთან ერთად მონაწილეობდა. დღეს, 15 წლის შემდეგ, მე და ელენე ვდგავართ სცენაზე და მსოფლიოს გამოჩენილ არაჩვეულებრივ მუსიკოსებთან ერთად ვასრულებთ კვინტეტს - ძალიან რთულ ნაწარმოებს. ცხოვრება სიურპრიზებითა და საინტერესო მოვლენებითაა სავსე. მადლობა უფალს ყველაფრისთვის, - გვითხრა „საქართველოს ვირტუოზების“ კონცერტმაისტერმა ლელა მჭედლიძემ.

ფესტივალის ორგანიზატორებმა (ორგანიზატორია კომპანია „არტ ალიანსი“) მადლობა გადაუხადეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ბორჯომის, ბათუმისა და თბილისის მერიებს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, იტალიისა და გერმანიის საელჩოებს საქართველოში - მხარდაჭერისთვის, ასევე არაერთ პარტნიორს, მათ შორის მედიაპარტნიორებს, რომელთა შორის არის გაზეთი „აჭარა“.

შემდეგი საფესტივალო სამი კონცერტი სექტემბერში გაიმართება, რომელსაც თბილისის კონსერვატორიის დიდი დარბაზი უმასპინძლებს.

სტუმარი

„მინდა, ჩემი ლექსი სიყვარულით შთაგონებული პაემნებივით იყოს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

მთიან აჭარაში წელს მეთერთმეტედ ჩატარდება საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი „ზე-კარი“, ამ ფესტივალში გასულ წლებში საქართველოსა და სხვა ქვეყნების არაერთი ცნობილი შემოქმედი მონაწილეობდა, წელსაც გრძელდება ეს ტრადიცია. მოწვეულთა შორისაა პოეტი ნინო მოდრეკილაძე, რომელიც ამ ფესტივალში დაარსების დღიდან მონაწილეობს და მინიჭებული აქვს საპატიო „ზე-კართანელის“ წოდება

მრავალმხრივი ინტერესებით გამორჩეული ეს ქალბატონი არა მარტო კარგ ლექსებს წერს, არამედ კარგადაც თარგმნის. ქალბატონი ნინო არაერთი ლიტერატურული კონკურსის მონაწილე და გამარჯვებულია. თავის დაბადებას ჯილდოდ მიიჩნევს და გულწრფელად აცხადებს: „მადლობა უფალს ამ ჯილდოსთვის!“. ფიქრი უყვარს და მისი საფიქრალიც ფართო თვალსაწიერზე განფენილა... მერე ეს ფიქრები მის პოეტურ ქურაში იწრთობა და ლექსებად ისხამს ფრთებს.

- ვადასტურებ ჩემს უსაზღვრო სიყვარულს მთიანი აჭარისადმი, პოეზიაში გავიზარდე „ზე-კართან“ ერთად, - გვითხრა ქალბატონმა ნინომ და ხალისით უპასუხა შეკითხვებს.

- ქალბატონო ნინო, მრავალმხრივი ინტერესებით გამოირჩევით... თავად როგორ წარმოგვიდგენთ თავს?

- ინტერესი, ალბათ, არის შემეცნებითი ხასიათის კოგნიტურ-მოტივაციური მდგომარეობა და რაკი თქვენ შეგინიშნავთ, რომ მრავალმხრივი ინტერესებით გამოვირჩევი, მადლობის მეტი რა მეთქმის. უბრალოდ, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ინტერესი ჩნდება და ეს, ალბათ, ნორმალურია. უცვლელია ის, რომ განვითარების ყველა ეტაპზე ვსწავლობ, პირველ რიგში, საკუთარ თავს, შემდეგ კი გარესამყაროს. მთავარი მაინც წერაა, ფიქრი და წერა. რაღაც ეტაპზე ვხატავდი კიდეც. რაც შეეხება საკუთარი თავის წარდგენას - მე ვარ.

- თვითრეალიზაცია უკეთესად პოეზიაში შეძელით?

- პოეზიაში გავიზარდე ყველა გაგებით. მასში ბედნიერი ვარ, თუმცა ძიება არ დამისრულებია და ვერ ვიტყვი, რომ რაიმე უკეთესად შევძელი. ყველაფერი მაინც პირობითია და თვითგანვითარება გრძელდება.

- სტილი, რომლითაც ქმნით თქვენს ნაწარმოებებს, როგორ ფიქრობთ, სხვათაგან რით გამოირჩევა?

- თუ სტილი შინაარსის ფორმაა, მაშინ ეს ჩემთვის იდეაა. სადღაც წავიკითხე, წერა პაემანს ჰგავს და ყოველ ჯერზე შთაბეჭდილება უნდა დატოვოო. მინდა, ჩემი ლექსი სიყვარულით შთაგონებული პაემნებივით იყოს... ყოველ ჯერზე - შთამბეჭდავი. სხვათა ლექსებს არ ვეჯიბრები. მე ჩემი საფიქრეთი მაქვს, სხვას - თავისი. მე ყოველთვის ჩემი საფიქრეთიდან გამოვდივარ, ეს თუ გამორჩეულობაა, მაშ, ყველაფერი იდეა ყოფილა.

- „ლექსი ტანჯულთა რელიგიაა“ - ეს აზრი ერთგან მოიწონეთ და ახლა მკითხველსაც გაუზიარეთ თქვენი თვალსაზრისი...

- ჰიპერბოლური მეტაფორებით ხშირად განმარტავენ ხოლმე ლექსს, პოეზიას. „ლექსი ტანჯულთა რელიგიაა“ - ეს ჩემი საყვარელი პოეტის - ელა გოჩიაშვილის ფრაზაა. ჯემალ ინჯიამ კი რა გვითხრა? - „ექსტაზში ბოდვაა პოეზია“... „რა არის პოეზია? - ბევრმა ამ კითხვას არასწორად უპასუხა, მე კი რაც არ ვიცი, არ ვიცი და ჩემს არცოდნას ისე ვეყრდნობი, როგორც მოჯირს...“ - ეს ვისლავა შიმბორსკაა... უამრავი ფრაზა და განმარტება შეიძლება გავიხსენოთ, პირადად ჩემთვის კი პოეზია ტკივილის მეტამორფოზაა.

- საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ზე-კართან“ ადრეც მონაწილეობდით. რას გაიხსენებთ? როგორ აფასებთ მის როლსა და მნიშვნელობას ლიტერატურის განვითარებაში?

- წელს მთიან აჭარაში მეთერთმეტედ ჩატარდება ფესტივალი „ზე-კართან“. დაარსების დღიდან გახლავართ მისი მეგობარი და მონაწილე. ვარ „საპატიო ზეკართანელი“, რაც დიდი პატივია ჩემთვის. ფესტივალმა უდიდესი სულიერი საზრდო მომცა და როცა აღვნიშნე, პოეზიაში გავიზარდე-მეთქი, პოეზიაში გავიზარდე სწორედ „ზე-კართან“ ერთად... მადლობა უნდა გადავუხადოთ ფესტივალის დირექტორ ვახტანგ ბერიძეს, რომელმაც როგორც პურის ლუკმა - მშიერ ადამიანს, ისე მიაწოდა ეს უდიდესი იდეა სრულიად საქართველოს, მთასა და ბარს... და პროცესები წლიდან წლამდე სრულყოფილებამდე განავითარა. წლების განმავლობაში ოთხასამდე ავტორი გაეცნო მაღალმთიანი აჭარის კულტურას, მიიტანა და წამოიღო სათქმელი, განავრცო აქტუალური თემები, ნახა მთის ყოფითი ცხოვრება, იფიქრა, გადაიტანა თავის შემოქმედებაში, მოკლედ რომ ვთქვა, იცხოვრა... ძირითადი ნაწილი არის ლიტერატურა - პოეზიის საღამოები, საჯარო ლექციები, წიგნების გამოფენა. წინა წლებში დაემატა სპექტაკლები, ფილმების ჩვენება, დისკუსიები, წელს - კლასიკური მუსიკა. ფესტივალი „ზე-კართან“ არის მრავალმხრივ სასიკეთოდ მიმართული იდეა, რომელიც უკვე საერთაშორისო ხასიათისაა და მასში მონაწილეობენ, ასევე, სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედი ადამიანები. აქვე მინდა აღვნიშნო ადგილობრივებისგან დიდი სიყვარული. ყოველ წელს უამრავ მეგობარს ვიძენ. ესენი არიან ფესტივალის მოხალისეები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა მონაწილეებს შინაურული განწყობა შეუქმნან. მადლობელი ვარ მათი.

- ავტორებს ურჩიეთ, რომ... რჩევებს ყური არ უგდონ. საინტერესოა - რატომ?

- ესეც ხომ რჩევაა, შეუძლიათ, არც ეს გაითვალისწინონ.

- თქვენი, როგორც მთარგმნელის ინტერესის არეალის პოეტებიდან ვის გამოარჩევთ?

- ჩემი მთარგმნელობითი მუშაობის პერიოდი, ვფიქრობ, იყო პროექტის ნაწილი აწ განსვენებული ალექსანდრე ელერდაშვილის უდიდესი ღვაწლით. ბატონი ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ აღარაფერი მითარგმნია და ამ ეტაპზე, ვფიქრობ, შევჩერდი. ყველაზე მეტად მაინც თანამედროვე თურქ პოეტ არზუ ქარადაღის პოეზია მიყვარს, რომელიც ჩემს ემოციებთან ახლოსაა - გზები, ჩიტები, სიკვდილ-სიცოცხლის ფილოსოფია და, რაც მთავარია, ტკივილები.

იხ. მე-7 გვ.

„ტბეთობა“ – სოფლის სახალხო დღესასწაული

სულხან დავითაძე, იოსებ წულუკიძე, შაქრო ჭურკვეიძე, რამინ ბახტაძე, როლანდ ფევაძე და სხვები სოფლის სახალხო დღესასწაულ „ტბეთობის“ დაარსების ინიციატორები იყვნენ, რომელიც მარიამობას დაამთხვიეს

მათგან წუთისოფელში უკვე აღარაა იოსებ წულუკიძე, სულხან დავითაძესაც ფიზიკური მდგომარეობა ხელს აღარ უწყობს წამოწყებული საქმის გაგრძელებაში. „ტბეთობის“ ორგანიზება იოსების და ა(ა)იპ „მწიგნობარის“ დამფუძნებელმა მანანა წულუკიძემ, შაქრო ჭურკვეიძემ, ტბეთის საჯარო სკოლის დირექტორმა ბესიკ დავითაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა უჩამბის ადმინისტრაციულ ერთეულში ემზარ დავითაძემ, რამინ ბახტაძემ ითავეს, ზოგიერთი სოფლისა და ხეობის მსგავსად, დღესასწაული არ მოშალეს.

- ეს სახალხო დღესასწაული აჭარაში მომუშავე მწერლების, პოეტების, მხატვრების საქმიანობის შეჯამების, მათთან სოფლის მოსახლეობის დაახლოებისა და დამეგობრების ზეიმი იყო, - თქვა 70 წელს გადაცილებულმა ტბეთელმა ოთარ ფევაძემ. „ტბეთობის“ მონაწილეთა წინაშე საკუთარი ლექსი წაიკითხა 80 წლის პოეტმა ცისანა ანთაძემ, რომელიც უკვე მესამედ დაესწრო სოფლის ზეიმს. დამსწრეთ მიესალმნენ მწერლები აკაკი მახარაძე, ვახტანგ გოგრაჭაძე, პოეტები გულიკო გაბაიძე, ედიშერ ფუტკარაძე, ლეილა ლემსაძე, თამრიკო ხოზრევანიძე, ჟურნალ „ხატიმამულის“ რედაქტორი, პოეტი ნანა მომცელიძე, ნაზი კალოთელი (აბაშიძე), აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძე, აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარის მოადგილეები ბიჭიკო ბოლქვაძე, ჯამბულ გაბაიძე, კავშირის გამგეობის წევრი თემურ მჟავანაძე, აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის წარმომადგენელი ინგა დიასამიძე, სოფლის მკვიდრები შაქრო ჭურკვეიძე, ბესიკ დავითაძე, შოთა ლემსაძე.

- ფესტივალ „ჯვარიმინდორს“ დავესწარი, რომელზეც ღირსეულ ჭვანელებს „საპატიო ჭვანელის“ დიპლომები გადავეცით. მთიდან ბარში - ტბეთში ჩამოვედი, რათა სოფლის მოსახლეობისა და მათი სტუმრების ზეიმის მონაწილე მეც ვყოფილივიყავი. ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორ მანანა წულუკიძეს „საპატიო ტბეთელის“ დიპლომი გადავეცი. უნდა აღვნიშნო, რომ ორივე ღონისძიება ადამიანის სიყვარულით, წარსულის პატივისცემით იყო დატვირთული, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

წელს „საპატიო ტბეთელის“ წოდება ვეტერანმა მესაზღვრემ, თადარიგის ოფიცერმა შაქრო ჭურკვეიძემ და ვეტერანმა პედაგოგმა, ამჟამად სარეცელს მიჯაჭულმა რევაზ ჯაფარიძემ დაიმსახურეს. ღონისძიების ორგანიზატორებმა იგი რევაზის შვილიშვილს გადასცეს.

ტბეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ა(ა)იპ „მწიგნობარის“ ნორჩმა წევრებმა ქართველი პოეტების ლექსები წაიკითხეს. „ტბეთობას“ საკუთარი ლექსი მიუძღვნა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ედიშერ ფუტკარაძემ.

- მრავალ ტბეთელთან მაქვს მეგობრული და კოლეგიალური ურთიერთობები. კარგია, როცა სოფელს ასეთი დღესასწაული აქვს. იგი წარსულის დაფასებაცაა. ჩვენი ვალია, ასეთი დღესასწაულები ხალხთან ერთად ვიზეიმოთ. უკვე მიჩნდება სურვილი, ტბეთსა და ტბეთელებზე ფერწერული ტილო შევქმნა, - გვითხრა აჭარის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფუტკარაძემ.

აკაკი მახარაძე, მწერალი, საზოგადოება „მარეთის“ თავმჯდომარე: - „ტბეთობაზე“ აჭარაში მომუშავე მწერლები და პოეტები ხელცარიელნი არ მოვსულვართ - სოფლის სკოლას წიგნები, საჩუქრები დავუტოვეთ. სხვა სოფლების მსგავსად, ტბეთიც მოსახლეობისგან ცარიელდება. სოფლის სკოლა, რომელიც ადრე 150-ზე მეტ მოსწავლეს ითვლიდა, 15 სექტემბერს მხოლოდ 10 მოსწავლეს გაუღებს კარს. „ტბეთობის“ დანიშნულება ქართული სოფლის გაცოცხლებაა, რაც დღევანდელმა დღემ ნამდვილად დაადასტურა.

მანანა წულუკიძე: - ტბეთი ჩემი საფიცარია. მისმა სიყვარულმა, წუთისოფლიდან წასული ძმის - იოსების ხსოვნამ გადამაწყვეტინა ღონისძიების ჩატარება. წელს საქმე საზეიმოდ არ გვქონია. მეტწილად, ადამიანებს მოვეფერეთ. უფალს შევთხოვე, გაისად ზეიმის განწყობა გვქონოდეს. მადლობა ღონისძიების ორგანიზატორებს, რომ ჩემი ღვაწლი „საპატიო ტბეთელის“ წოდების მონიჭებით დამიფასეს, რაც უფრო მეტს მავალდებულებს.

ფესტივალი „ჯვარიმინდორი“ 10 წლისაა

10 წლის წინ აწ განსვენებულ ბიზნესმენ სანდრო შარაშიძის ინიციატივით, საზოგადოება „ჭვანელის“ თანადგომით, შუახეველ ბიზნესმენ ლევან (ასლან) მჟავანაძის, ვლადიმერ მამულაძის, შემოქმედებითი მუშაკებისა და საზოგადოების მხარდაჭერით, ფესტივალ „ჯვარიმინდორს“ დაედო სათავე

წლებია, ფესტივალი ორი რეგიონის - გურიისა და აჭარის მოსახლეობის, ხელოვანების, მწერლების, კულტურისა და სპორტის სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით იმართება. ჯერ კლდეში ჩვეულებრივად გამოკვეთილ ჯვარს პატივს მიაგებდნენ, შემდეგ კი ზეიმი იმართებოდა.

შოვის ტრაგედიამ მთელ რიგ ღონისძიებებში კორექტივები შეიტანა. წელს ჯვარიმინდორსა და მის შემოგარენში არსებულ საზაფხულო იალაღებზე ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შუამთობა“ აღარ გამართულა, „ჯვარიმინდოროობაც“ მოკრძალებულად აღინიშნა.

ფესტივალის მონაწილეებმა თავდაპირველად კლდეში არსებული ბუნებრივი ჯვარი დაათვალიერეს.

- აჭარის მთიანეთის მრავალ ღირსშესანიშნაობას ვიცნობ. ფოტოებითა და ვიდეოთი კლდეში ნაკვეთი ჯვარიც ნანახი მქონდა, მაგრამ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა - თვალწინ გადამეშალა აჭარა-გურიის, მესხეთის, აჭარა-შავშეთის ქედების მშვენიერი პეიზაჟები. მადლობა ამ დღესასწაულის ორგანიზატორებს, - გვითხრა პოეტმა გულიკო გაბაიძემ.

ამჯერად „ჯვარიმინდოროობა“ მხოლოდ სპორტული ღონისძიებით შემოიფარგლა. ცხემლისელი ჭაბუკები ორ გუნდად გაიყვნენ და ერთმანეთს ფეხბურთში გაეჯიბრნენ. ჭვანის ხეობის ფრენბურთელები შუახევის თვითმმართველობის გუნდს დაუპირისპირდნენ. მონაწილეებმა კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს შოვის ტრაგედიის მსხვერპლთ და თანაგრძნობა გამოუცხადეს დაღუპულებისა და დაზარალებულების ოჯახებს. სიტყვით გამოვიდნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფრიდონ ფუტკარაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე, საზოგადოება „ჭვანელის“ თავმჯდომარე თემურ ზოიძე. მან რიგი სიახლეებიც გაახმოვანა. საზოგადოების საპატიო თავმჯდომარედ ომარ ტაკიძე აირჩიეს. შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი „ჭვანა“, რომელსაც ამ ხეობის მკვიდრი ბიზნესმენი რამაზ მსახურაძე უხელმძღვანელებს.

21-ე საუკუნის დასაწყისში ჭვანის ხეობაში სახალხო დღესასწაული „ჭვანობა“ წამოიწყეს. „საპატიო ჭვანელებიც“ პირველად მაშინ დასახელდნენ. 10 წლის წინ „ჭვანობა“ „ჯვარიმინდორმა“ ჩაანაცვლა. „საპატიო ჭვანელებსაც“ ამ ღონისძიებაზე ირჩევენ. წელს ეს პატივი წილად ხვდათ ბათუმის რეспუბლიკური კლინიკის ექიმს, ჭვანის ხეობის მკვიდრ იაგო ტაკიძესა და შუახევის რაიონის ყოფილ ხელმძღვანელ მურმან ჭაღალიძეს.

- 30 წელზე მეტი მშობლიური შუახევის მოსახლეობის სამსახურში ვიყავი. უკვე 85 წელი მოვიტოვე უკან. აქ გატარებული დრო ყველაზე დასამახსოვრებელი და შინაარსიანი იყო. შუახევის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად აღდგენის დღიდანვე, თანარაიონელი ახალგაზრდების წინამძღოლობა დამაკისრეს. 70-იანი წლების ბოლოდან რაიონის პირველი პირი ვიყავი. ჩვენს საქმიანობას ის აღმშენებლობა უკავშირდება, რაც იმ დროს მიმდინარეობდა. ის საავტომობილო გზა, რომელიც ჯვარიმინდორსა და თაგინურზე შემოდის, მაშინ გავიყვანეთ. 10-მდე სოფელში სკოლების კაპიტალური შენობები აიგო. საავტომობილო გზები სხვა მთებშიც გავიყვანეთ. მუშაობა მიფასდებოდა. მრავალი სამთავრობო ჯილდოს, „საპატიო შუახეველის“ წოდების მფლობელი ვარ, მაგრამ ამ ასაკში, ასეთ ვითარებაში „საპატიო ჭვანელის“ წოდება ჩემთვის დიდზე დიდი პატივია, - გვითხრა მურმან ჭაღალიძემ.

ნოვიელ ალელოვი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი: - ყოველი ქართველი, ვინც ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცხოვრობს და მშობლიურ საქართველოს აღმასვლაში გარკვეული წვლილი შეაქვს, ვალია, მოვიდეს, ნახოს ეს მშვენიერი ბუნება, გაეცნოს აქ დავანებულ ადათ-წესებს, ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს. რომ არა შოვის ტრაგედია, ეს ფესტივალი უფრო საზეიმო იქნებოდა, თუმცა, რაც მაინტერესებდა, ის ვნახე და მდიდარი შთაბეჭდილებებით ვტოვებ ამ მთებს, აქ მომუშავე ადამიანებს. 50 წელია, ამერიკაში ვცხოვრობ და ასეთ ღონისძიებას პირველად ვესწრები.

ევგენი ბარათაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი: - პირველ რიგში, მადლობა ჩემ დოქტორანტ თემურ ზოიძეს, რომ ამ ღირსშესანიშნაობის გაცნობის შესაძლებლობა მომცა. აქვე გეტყვით, რომ მან ამ დღეებში ასოცირებული პროფესორის ხარისხი მოიპოვა. უკვე მაქვს შინაგანი მოთხოვნა, ამ მთებში ისევ ჩამოვიდე, დავესწრო ფესტივალებს, ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „შუამთობას“.

ზურაბ ტაკიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩოჩხათის მკვიდრი: - ჩემი ასაკის ადამიანმა ხშირად უნდა მოინახულოს ის მშვენიერი და მიმზიდველი ადგილები, სადაც დაიბადა, ბავშვობა გაატარა, რიგი გარემოებების გამო ფესტივალ „ჯვარიმინდორს“ პირველად ვესწრები. ემოციებით დატვირთული ვარ, მით უმეტეს, რომ შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო, რიგი აქტივობა აღარ გამართულა. მადლობა ამ ღონისძიების ინიციატორებსა და ორგანიზატორებს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

როგორ მოხიბლა რადიოფესტივალმა მსმენელი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ხუთ დღეს მიმდინარეობდა საავტორო მუსიკის რადიოფესტივალი სახელწოდებით „მუსიკა ბათუმიდან“, რომელმაც სასიამოვნო წუთები განაცდევინა ყველას, ვინც შეძლო თუნდაც ერთი საღამო გაეტარებინა ამ ღონისძიებაში მონაწილეებთან ერთად

საღამოები საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის რადიოს წინ სახელდახელოდ, ლამაზად გაფორმებულ სცენაზე იმართებოდა, ფესტივალის ორგანიზატორები კი აჭარის რადიოს ჟურნალისტები თეონა ზედანია და ილო შავიშვილი გახლდათ. როგორც მათ გვითხრეს, ეს ადგილი იმიტომ შეირჩა, რომ ტექნიკურად შესაძლებელი ყოფილიყო საღამოების რადიოს პირდაპირ ეთერში გაშვება. ამით ხაზი გაესვა იმასაც, რომ საავტორო მუსიკის შემსრულებლებისთვის რადიო მუდამ იყო პირველი და მთავარი მხარდამჭერი, რადგან ადამიანები, რომლებიც საკუთარ მუსიკას ქმნიან, პირველად სწორედ რადიოში აყალიბებენ. მათ ამ პროექტით ახალგაზრდა ავტორები მაყურებელს უფრო ახლოს წარუდგინეს და ერთდროულად, მსმენელსაც მოასმენინეს.

ფესტივალში ადგილობრივი მუსიკოსები, ბენდები და ჯგუფები „მელომანიაკი“, „ბაბაჯანა“, „ტაბემონო“, „მუნლაიტი“, „კაი“, ვაჟა ტუღუში, ირაკლი ფაღავა... მონაწილეობდნენ.

რაც შეხება პროგრამას, როგორც მისი სახელწოდება მიუთითებს, მხოლოდ და მხოლოდ საავტორო მუსიკა იყო წარმოდგენილი. ეს ფესტივალიც იმას ემსახურება, რომ საავტორო მუსიკა და მისი შემქმნელები არენაზე გამოჩნდნენ.

ეს იყო ასეთი სახის პირველი ფესტივალი, რომელიც ორგანიზატორებმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ადგილობრივ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე გასამართი ფესტივალების საგრანტო კონკურსის ფარგლებში ჩაატარეს.

როგორც თეონამ და ილიამ გვითხრეს, მიზანი საავტორო მუსიკის პოპულარიზაციაა, რადგან კონცერტებზე საავტორო მუსიკაზე მოთხოვნა არცთუ ისე დიდია და მის შემქმნელებს ასეთი მუსიკის ხშირად თაროზე შემოდება უწევთ.

- სწორედ იმიტომ, რომ ეს ადამიანები წარმოვაჩინოთ, რომ სახელმწიფოს როლი განისაზღვროს ამ ხელშეწყობაში, გადაწყდა მსგავსი ტიპის ფესტივალის ჩატარება. ადგილობრივ ბენდებსა და შემსრულებლებს 40-45-წუთიანი დაკვრის საშუალება მიეცათ, - ამბობს თეონა.

ორგანიზატორების სურვილია, ფესტივალი საერთაშორისო მასშტაბის გახადონ, დასაწყისისთვის კი ადგილობრივი ბენდებით შემოიფარგლნენ. როგორც ილია და თეონა ამბობენ, საავტორო მუსიკა ჩვენი იდენტობის განმსაზღვრელია:

- გვესმის, რომ კომერციული დაწესებულებები სხვა მუსიკას ითხოვენ, ისეთს, რომელიც ყურისთვის უფრო ნაცნობია, რათა მსმენელი სრულ კომფორტში ჰყავდეთ, მაგრამ... მუსიკოსად ყალიბდები და შენს ცნობადობას განსაზღვრავს მხოლოდ საკუთარი ნამუშევარი. სამწუხაროდ, საავტორო მუსიკის ფესტივალები თითქმის არ იმართება, მით უმეტეს, რეგიონს არ აქვს ამისი ფუფუნება. ამაში დიდია რადიოს როლი, რომლის მთავარი მიზანი ასეთი მუსიკოსების შემოქმედების ხელშეწყობაა. როცა მსოფლიო ჰიტი იწერება, ის პირველად რადიოთი ყღერდება. ასევეა აჭარის რადიოშიც, რომელიც ადგილობრივ მუსიკოსებს განვითარებაში უწყობს ხელს, ამიტომ ეს ფესტივალი აჭარის რადიოს ეგიდითაც ტარდება. ის, რასაც საზოგადოება ქუჩაში ისმენს, პირდაპირი ეთერით გადაიცემა. ფესტივალის მთავარი მხარდამჭერი აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროა. ასეთი ფესტივალის გამართვა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ამიტომ სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია. რომ არა სამინისტროს ხელშეწყობა, დამოუკიდებლად ფესტივალის ჩატარებას ვერ შევძლებდით. არაერთი კერძო სექტორიც თანამშრომლობს ჩვენთან და მათი როლიც უმნიშვნელოვანესია. ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა, დიდ მადლობას ვუხდით.

ფერებში გადმოცემული ქალთა განცდები

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ქალთა სახეები“ - ასე ჰქვია მხატვარ ნინა ვადაჭკორიას ფერწერული ნამუშევრების პერსონალურ გამოფენას, რომელსაც ხელოვნების მუზეუმის გალერეა მასპინძლობს

მხატვარი, რომელიც ფერთა მრავალფეროვანი პალიტრით გამოირჩევა, ამბობს, რომ ქალის როლი, მით უფრო, დღევანდელ სამყაროში, უმნიშვნელოვანესია. შესაბამისად, ის განცდები, ემოციები, რაც ქალების ცხოვრებას უკავშირდება, მისთვის, როგორც მხატვრისთვის, ძალიან საინტერესოდ და მრავალფეროვნად აღიქმება, რაც გადმოცემული აქვს კიდეც ნახატებში.

- ჩემს საყვარელ ბათუმში გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი მაქვს 25 ფერწერული ტილო. იგი გვიყვება ქალბატონების როლზე დღევანდელ სამყაროში, გვიყვება ქალზე, როგორც დედაზე, პროფესიონალზე, ათასფერი ემოციით სავსე ადამიანზე, რომელიც დაუღალავად იბრძვის, რომ სამყარო უკეთესი გახადოს. დღეს ქალმა ძალიან ბევრი რამ იტვირთა როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად და მენტალურად. ასე მგონია, მათ სიახლოვე აქვთ კოსმოსთან, ვიდრე მამაკაცებს. ჩემი ძირითადი მიზანი იყო, მეჩვენებინა, თუ როგორი ძლიერები, როგორი წარმატებულები არიან ქალები და არაფრით ჩამოუვარდებიან მამაკაცებს. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მუზეუმის ხელმძღვანელობას, რომელთა სურვილი, პერსონალური გამოფენა მომეწყო მათთან, ჩემს სურვილსაც დაემთხვა. ჩამოვედი ქალაქში, რომელიც ბავშვობიდან ძალიან მიყვარს და მეძვირფასება. ძალიან ბევრი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს აქ, რომელთა შემოქმედებას დიდ პატივს ვცემ. ორმაგად სასიამოვნოა, რომ დღეს ვარ იმ ქალაქში, რომელიც არაერთხელ გამხდარა ჩემი ინსპირაციის წყარო, - გვითხრა ნინა ვადაჭკორიამ.

გამოფენაზე ისაუბრა ხელოვნების მუზეუმის მმართველმა თენგო დოლიძემ.

- თვითნასწავლ მხატვარ ნინა ვადაჭკორიას ფერწერული ნამუშევრები თავისი ქარიზმატულობით, განსხვავებული და განსაკუთრებულია. ძალიან მიხარია, რომ კიდევ ერთ არაჩვეულებრივ გამოფენას ნახავენ ბათუმელები, ჩვენი ქალაქის ვიზიტიორები. მადლობას ვუხდი მხატვარს, რომ მოგვცა შესაძლებლობა, მისი შემოქმედებით გავცნობოდით „ქალთა სახეებს“. გამოფენა ორი სექტემბრის ჩათვლით გაგრძელდება, 5 სექტემბერს კი დაგეგმილია მარიამ ყანდიაშვილის პერსონალური გამოფენის გახსნა.

კობა გოგუაძე - ჩემპიონი

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

ქედის სასპორტო სკოლის აღზრდილი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე შოთა ფარტენაძის წარმატებები, მის მიერ მოპოვებული ტიტულები კარგადაა ცნობილი. შოთას გზას რამდენიმე ქედელი ადგას. მათ შორისაა იუნიორი, ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლის“ აღსაზრდელი კობა გოგუაძე.

კობამ წარმატებით იასპარეზა ბრაზილიაში - რიო-დე-ჟანეიროში გამართულ ბავშვთა ოლიმპიადაზე. მან 62 კილოგრამ წონით კატეგორიაში 5 ორთაბრძოლა ჩაატარა და ყველა დამაჯერებლად მოიგო.



„მინდა, ჩემი ლექსი სიყვარულით შთაგონებული პაემნებივით იყოს“

მე-5 გვერდიდან

- უახლოეს ხანში რით წარუდგებით მკითხველს? წიგნი, რომელიც ელის დღის სინათლეს...

- გამოიცანით. ახალი ლექსები, ახალი იდეები, უფლის ნებით, მალე წიგნად უნდა იქცეს.

- პლანეტა გლობალური ცვლილებების დროშია. სიახლეებსა და სირთულეებს როგორ გაუმკლავდეს ადამიანი, რა გადაგვარჩენს?

- მარადიული ღირებულებები უცვლელია და მას ადამიანის გულამდე მივყავართ. უნდა გავიაზრო, რა ხდება ჩემს გულში, გავიაზრო, რა ხდება სხვათა გულებში და გააზრებული სიყვარულით ვიცხოვრო.

- ზოგი ნიჰილისტურად ამბობს, არ ვართ „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანაო...

- არ ვიცი, ვინ ფიქრობს მასე ან რითია გამოწვეული. რატომ უნდა უარყო ფასეულობები - ჩემთვის რთულად ასახსნელია. ეს, მგონი, უკიდურესი პესიმიზმია. თუ იმას გულისხმობენ, რომ არ ვცხოვრობთ „ვეფხისტყაოსნის“ ღირებულებებით, ჯერ თავად დაიწყონ... მე ისევ ავთანდილის პირით გაცხადებულ იდეას გავიხსენებდი: „წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ? ვით იტყვიან, ვით აქებენ, ცან, ცნობანნი მიაფერენ! სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეუვანნი, ამას ყღერენ...“.

- „საფიქრეთის ხშირი სტუმარი ვარ“ - ეს თქვენი სიტყვებია... გაგვიზიარეთ თქვენი ფიქრები.

- რომელი ერთი? ვაჟა ამბობდა, ფიქრი უსამძღვრობაა, როგორც სამყაროო. ხშირად ადამიანებს ვუყურებ და სხვაგან ვარ, ის სხვაგან არის... ჩემი საფიქრეთი აუხსნელია და უთქმელი.

- რა გსურთ, სამყაროს გასძახოთ?

- დამელოდე...

- „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო“. თქვენც ასე გწამთ?

- რაღა დაგიმალოთ და, ასე მწამს. როცა ბუნებაში ვარ, ეს რწმენა მაშინ უფრო ხილულია.

- ადამიანები, ვისი სიტყვაც და საქმეც მოგწონთ და გავსებთ.

- თუ ვინმეს ვეკონტაქტები, ის, თავისთავად, მომწონს. სხვა შემთხვევაში შორს ვარ. ვინ მავსებს? ვფიქრობ, არავინ უფლის გარდა, რადგან სისავსე, სისრულე და ნეტარი მხოლოდ უფალია... ის მასწავლის ცხოვრების გზას, სიყვარულს, სიხარულს. მთავარია, მიყოლა შევძლო.

- პასუხგაუცემელი კითხვა არსებობს? და თუ - კი, როგორ უპასუხებდით?

- ზოგ კითხვას პასუხი გასცე, იგივეა, წყალი დანაყო. „- შენ როგორ ფიქრობ?“ - შევუბრუნებ კითხვას და მისი ფიქრიდან ამოვალ.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომცემელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
® ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 31/08/23, 17 ³⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მალე გავიგებთ, როგორია ახალ ამპლუაში, ანუ სიურპრიზი ნანუკა სტამბოლიშვილისგან

სექტემბერში „იმედზე“ რეალითი შოუ „კუნძული“ იწყება

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ტელეიმედის პროდიუსერმა ნოე სულაბერიძემ სოციალურ ქსელში დადო ანონსი, რომელშიც წერს: „სექტემბრიდან „იმედის“ ეთერში ჩვენ მიერ შექმნილი მეგაპროექტი გავა, რომელსაც ბოლო თვეების მანძილზე ყველაზე დიდი მონდომება, ენთუზიაზმი, თავდაუზოგავი შრომა, ნერვიულობა, სიყვარული მივუძღვენით. მადლობა ყველას, ვინც აქ იმუშავა, ჩანდა და არ ჩანდა. მალე The Island... კუნძული - „იმედზე“, კუნძული, რომელსაც თავის მონაწილეებიანად შეიყვარებთ“

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ ჩავწერეთ მოკლე ინტერვიუ რეალითი შოუს ერთ-ერთ მონაწილესთან, ჩვენს თანაქალაქელ **ნანა სტამბოლიშვილთან,** *რომელიც სერიალ „სხვისი შვილის“ მეოთხე სეზონის გადაღებებზე თურქეთში მიემგზავრებოდა...*

თურქულ სერიალ „სხვისი შვილის“ მესამე სეზონის ჩვენება თურქულ არხ „Kanal 7“-ზე მალე დასრულდება (მისი გადაღებები მაისში დამთავრდა), ტელეკომპანია „იმედი“ კი ამავე მესამე სეზონის ყოველდღიურ ჩვენებას ქართულად განაგრძობს. სერიალს ბევრი გულშემატკივარი ჰყავს არა მხოლოდ თურქეთსა და საქართველოში, არამედ კიდევ 45 ქვეყანაში.



საქართველოში სერიალის გულშემატკივართა რიცხვი მას შემდეგ გაიზარდა, რაც მესამე სეზონში ერთ-ერთ მთავარ როლზე ბათუმელი მოცეკვავე-მსახიობი, დიზაინერი და მოდელი ნანა სტამბოლიშვილი მიიწვიეს (ის ფილმის ერთ-ერთ პატარა გმირ იუსუფის ძიძის როლს წარმატებულად თამაშობს). ნანას ასობით გულშემატკივარი ჰყავს. სოციალურ ქსელში შეიქმნა ქართველი გოგონას მხარდამჭერთა სხვადასხვა ფანჯგუფი. სხვათა შორის, მესამე სეზონი იმდენად პოპულარული გახდა, რომ ფილმის შემოქმედებითმა ჯგუფმა მეოთხე სეზონის გადაღება გადაწყვიტა. ნანასთან ერთად მთავარ როლს თურქეთში ერთ-ერთი პოპულარული მსახიობი, მომღერალი, მუსიკოსი და ცნობილი მოდელი ჰალილ იბრაჰიმ ჯეიჰანი ასრულებდა, რომელსაც ხელშეკრულებით მხოლოდ სამ სეზონში უნდა ეთამაშა. მესამე სეზონის გადაღება მაისში დასრულდა და ბატონ ჰალილს გადაღებები უკვე სხვა არხსა და ახალ სერიალში („ბინძური კალათა“) დაეწყო (იქ მონაწილეობაზე ხელშეკრულება ადრევე ჰქონდა დადებული). ამდენად, მეოთხე სეზონში აღარ ითამაშებს, ბათუმელი მსახიობი კი სერიალ „სხვისი შვილის“ მეოთხე სეზონშიც მიიწვიეს და დათანხმდა კიდეც.

როგორც აღვნიშნეთ, ნანა სტამბოლიშვილი რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა თურქეთში. ნათესავებთან ერთად ბათუმის აეროპორტიდან გავაცილე. ხუთწუთიანი საუბარიც იქვე შედგა. დეტალურად არ გვისაუბრია „სხვისი შვილის“ მეოთხე სეზონზე, რადგან ბევრი რამ ჯერაც არ იყო ცნობილი. ვისაუბრეთ სწორედ იმ ახალ პროექტზე, რომლის ანონსი ინტერნეტში 28 აგვისტოს დაიდო.

- ნანუკა, უკვე რამდენიმე ხანია, საქართველოში ხარ, მოასწარი დასვენება? სერიალის გადაღებები ხომ ძალიან გადამღლელია...

- მიხარია, რომ ცოტათი დასვენება მაინც მოვახერხე, მშვიდად და წყნარად გავატარე დრო ოჯახთან ერთად, მაგრამ... „სხვისი შვილის“ გადაღებები მაისში კი დასრულდა და დაუყოვნებლივაც წამოვედი საქართველოში, თუმცა მალევე მომიწია გამგზავრება დომინიკანას რესპუბლიკაში, კუნძულზე, სადაც მიმდინარეობდა ტელეკომპანია „იმედის“ რეალითი შოუ „კუნძულის“ გადაღება (ეს არის კარიბის ზღვის კუნძულ ჰაიტის აღმოსავლეთ ორ მესამედზე მდებარე ქვეყანა, დედაქალაქი - სანტო-დომინგო).

- ანუ ნანა სტამბოლიშვილი ამ შოუს მონაწილე გახდა?

- კი, ერთ-ერთი გმირი ვარ.

- სულ რამდენი იყავით?

- ათი მონაწილეა. თავის სფეროში ყველა საკმაოდ წარმატებულია - ხუთი გოგონა და ხუთი მამაკაცი გავეჯიბრეთ ერთმანეთს.

- აპირებდით მონაწილეობას, თუ...

- თავიდან - არა, დასვენებას ვაპირებდი, მაგრამ დამითანხმეს და ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ ვნანობ (მადლობა ნოე სულაბერიძეს), ეს, მართლაც, ძალიან საინტერესო იყო. არაჩვეულებრივი დღეები გავატარეთ ერთად, ძალიან კარგი ადამიანები გავიცანი და დავიმეგობრე, ამიტომ ნამდვილად ღირდა.

- ასეთ შოუში მონაწილეობა არ არის ადვილი...

- კი, საკმაოდ რთული გზა მქონდა გასავლელი, თუმცა, ვფიქრობ, ღირსეულად გავიარე და ჩემი გულშემატკივრები კმაყოფილნი დარჩებიან.

- „კუნძულში“, ალბათ, „ახალ“ ნანუკას აღმოვაჩენთ.

- კი, სულ სხვა კუთხით წარვსდგები და ეს მეც ძალიან მომწონს.

- რამდენჯერ გავა კვირაში?

- ერთხელ.

- ცოტა რამ სერიალ „სხვისი შვილის“ მეოთხე სეზონზეც ვთქვათ. ხომ იცით, მისი გაგრძელება ათასობით გულშემატკივარს აინტერესებს...

- ბევრს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ გადაღებები სექტემბერში დაიწყება. ძალიან დიდი მოლოდინი გვაქვს, რადგან ბევრი სიახლე იქნება.

- ცნობილია, რომ ჰალილ იბრაჰიმ ჯეიჰანი, უფრო სწორად, მისი გმირი იამან-იაბანი უკვე გავიდა სერიალიდან და შესაძლოა, მეოთხე სეზონში ნანა-მარიამის გმირი, ანუ ძიძა, რომლის როლსაც ასრულებდი, მთავარ გმირად წარმოჩნდეს.

- ნამდვილად არ ვიცი, რა და როგორ იქნება. როცა ჩავალ, სცენარს მაშინ გავეცნობი, ყველაფერს ერთად გავივლით. ერთი ვიცი, რომ ახალი პარტნიორი მეყოლება, რომელიც უკვე მელოდება და ჩასვლისთანავე გავიცნობ. იმედი მაქვს, მასთანაც ისევე დავმეგობრდები, როგორც ჰალილთან.

- ახალი შემოთავაზებები ხომ არ არის?

- ახლა ამ პროექტით ვარ დაკავებული და, სიმართლე გითხრათ, რომც იყოს, მაინც უარს ვიტყვი, რადგან სხვა რამით რომ დავინტერესდე, ფიზიკურად დრო არ მრჩება - სერიალში გადაღება ყოველდღიური, დამღლელი შრომაა.

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ნიჭიერ გოგონას ახალ გამოწვევებში - როგორც რეალითი შოუში, ისე სერიალის მეოთხე სეზონში, სადაც ახალ მსახიობებთან ერთად ვიხილავთ.